



პროექტი დაფინანსებულია  
ევროკავშირის მიერ



ევრაზიის  
თანამშრომლობის  
ფონდი



## კონკურსი მობილური აპლიკაციის შესაქმნელად სურსათთან დაკავშირებულ საკითხებში მომხმარებლის უფლებების დასაცავად

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი იწვევს ორგანიზაციებსა და კერძო პირებს კონკურსში მობილური აპლიკაციის შესაქმნელად სურსათთან დაკავშირებულ საკითხებში მომხმარებლის უფლებების დასაცავად. კონკურსი ცხადდება ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში -- „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში“.

### პრობლემის აღწერა

წლების მანძილზე საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის კუთხით სახელმწიფო რეგულირება სუსტი იყო. ამას ემატებოდა სამომხმარებლო განათლების პროგრამების არარსებობა და, აქედან გამომდინარე, სამომხმარებლო კულტურის დაბალი დონე. მართალია, ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო რეფორმების განხორციელება მომხმარებლის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, მაგრამ ამ მხრივ, მდგომარეობა ჯერ კიდევ საკმაოდ მძიმეა. დაბალია მომხმარებელთა აქტივობა საკუთარი უფლებების დასაცავად. მომხმარებელთა გათვითცნობიერებისა და გააქტიურების გარეშე კი რეფორმები სათანადო შედეგს ვერ გამოიღებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელშიც აუცილებელია მომხმარებლის ეფექტიანი დაცვა არის სურსათის მოხმარება, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო ([www.nfa.gov.ge](http://www.nfa.gov.ge)). საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ახდენენ სასურსათო ბაზრის მონიტორინგს. ამ კუთხით, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე [www.mkidveli.ge](http://www.mkidveli.ge) და [www.momxmarebeli.ge](http://www.momxmarebeli.ge).

## **კონკურსის ზოგადი პირობები**

კონკურსის მიზანია მობილური აპლიკაციის შექმნა, რომელიც დაეხმარება მოქალაქეებს სურსათის შეძენისა და მოხმარებისას მიიღონ ინფორმაცია, რათა დაიცვან თავი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკებისა და შეცდომაში შეყვანისაგან.

მობილური აპლიკაცია უნდა მუშაობდეს Android ან/და IOS სისტემებში.

პროექტის განხორციელება უნდა დაიწყოს 2015 წლის 1 ნოემბერს და დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 31 იანვრისა.

## **ვის შეუძლია განაცხადების წარმოდგენა?**

განაცხადების წარმოდგენა შეუძლიათ როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს.

## **მომსახურების ღირებულება**

მომსახურების მაქსიმალური ღირებულება შეიძლება შეადგენდეს 12 000 ლარს.

## **შერჩევის პროცესი**

განაცხადებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის თანამშრომლები და, საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სპეციალისტები განიხილავენ.

განხილვის პროცესში განმცხადებელს შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მოწოდება მოეთხოვოს. ამისათვის მას 3 სამუშაო დღე მიეცემა.

## **შერჩევის კრიტერიუმები**

საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენება:

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობა;
2. შემოთავაზებული აპლიკაციის პრაქტიკული სარგებლიანობა მომხმარებლებისათვის;
3. აპლიკაციის მუშაობის სავარაუდო ეფექტიანობა;
4. აპლიკაციის მოხმარების სიმარტივე;
5. განმცხადებელი ორგანიზაციისა ან/და პროექტის განმახორციელებელი გუნდის შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია;
6. ბიუჯეტის ხარჯთეფექტიანობა.

კონკურსის შედეგად შეირჩევა ერთი, ან რამდენიმე პროექტი, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს. გამარჯვებულთან ფონდი გააფორმებს ხელშეკრულებას მომსახურების მოწოდებაზე.

თუკი კონკურსში წარმოდგენილი პროექტებიდან სათანადოდ არც ერთი დააკმაყოფილებს კონკურსის კრიტერიუმებს, კონკურსის გამარჯვებული არ გამოვლინდება.

### **განაცხადების წარდგენის პროცედურები**

კონკურსით დაინტერესებულმა კერძო პირებმა/ორგანიზაციებმა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში უნდა წარმოადგინონ:

- აპლიკაციის კონცეფციის დეტალური აღწერილობა (კონკრეტული ამოცანა, რომლის გადაწყვეტასაც მიზნად ისახავს აპლიკაცია, ვინ და როგორ გამოიყენებს მას?).
- აპლიკაციის ტექნიკური მონაცემები (რომელი ოპერაციული სისტემისთვის იგეგმება აპლიკაციის დამზადება? რა პრინციპზე დაყრდნობით იმუშავებს აპლიკაცია? როგორი ფუნქციები ექნება მას? დაყრდნობა თუ არა რაიმე სახის მონაცემთა ბაზას ფუნქციონირებისათვის? თუ დიახ, რომელს? როგორ და რა პრინციპით განახლდება აპლიკაცია? და სხვა ტექნიკური დეტალები).
- შესაბამისი აპლიკაციების მარკეტისათვის (app-store) განკუთვნილი აღწერილობა.
- სასურველია, განაცხადს თან დაურთოთ აპლიკაციის ვიზუალური მოდელი (icon) და აპლიკაციების მარკეტისათვის განკუთვნილი ეკრანის ანაბეჭდები (screenshots).
- სასურველია, ფონდში წარმოადგინოთ აპლიკაციის გამოსაცდელი ვერსია.
- განმცხადებლის მიერ ადრე დამზადებული მობილური აპლიკაციის შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- აპლიკაციის მომზადებაში ჩართული პირების CV-ები.
- აპლიკაციის მოსამზადებლად საჭირო საერთო თანხა.

განაცხადები უნდა გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [lberdzuli@epfound.ge](mailto:lberdzuli@epfound.ge). გზავნილის საგნის ველში გთხოვთ მიუთითოთ: „კონკურსი მობილური აპლიკაციის შესაქმნელად“.

### **განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2015 წ. 15 სექტემბერი.**

განმცხადებლები ფონდისაგან წერილობით პასუხებს მიიღებენ არაუგვიანეს 2015 წ. 15 ოქტომბრისა.

### **საკონტაქტო ინფორმაცია**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, კავსაძის 3, მე-2 სართული, ტელ.: 225 39 42/43, ვებგვერდები: [www.epfound.ge](http://www.epfound.ge) და [www.mkidveli.ge](http://www.mkidveli.ge).

საკონტაქტო პირი: ლელა ბერძული, პროგრამის თანამშემწე, ელფოსტა: [lberdzuli@epfound.ge](mailto:lberdzuli@epfound.ge).